# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

## ბრძანება N 79

12/06/2019 ქ.თბილისი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ, ინტერნეტ ვებ-გვერდზე http://store.apple.com სამსახურის ელექტრონული სერვისების განთავსების მიზნით შესაბამისი ლიცენზიების ინტერნეტით გამოწერის გზით შესყიდვის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის $1^1$ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მარტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის N247 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ინტერნეტ ვებ-გვერდზე http://store.apple.com სამსახურის ელექტრონული სერვისების განთავსების მიზნით, შესაბამისი ლიცენზიების შესყიდვა APPLE INC. (94-2404110)-სგან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის $1^1$ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ინტერნეტით გამოწერის გზით. (CPV72416000)
2. დაევალოს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საფუძველი:** სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის, კვლევისა და სისტემური ანალიზის დეპარტამენტის უფროსის ალექსანდრე ხუსკივაძის 2019 წლის 10 ივნისის N64509-22 მოხსენებითი ბარათი.

ჯონი შურღულაია

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი